

ანთროპონიმთა ტრანსფორმაციის ტიპოლოგია „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიის“ არაბულ, ქართულ და ბერძნულ რედაქციებში

ირმა მაკარაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: ვარლაამ და იოასაფი; ბალავარიანი; ანთროპონიმები; შედარებითი ანალიზი.

ანთროპონიმები - ადამიანთა საკუთარი სახელები ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის საგანია, რადგანაც მათში აისახება სხვადასხვა ეპოქაში ამა თუ იმ ეთნოსის კულტურული და სოციალური კონტექსტი. ანთროპონიმები სხვადასხვა ფაქტორთან ერთად განპირობებულია ეთნოსის რელიგიური, თუ მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენებით, რომელიც დომინანტურ როლს ასრულებს ამა თუ იმ კულტურაში. შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებისთვის კულტურულად რელევანტურია ანთროპონიმებში ბიბლიური და უფრო სუსტად მითოლოგიური მიმართებების ასახვა, რადგანაც ამ ეპოქაში ქართული კულტურული იდენტობა შეპირობებულია სწორედ ქრისტიანული რელიგიით. ამ თვალსაზრისით წინამდებარე კვლევაში შესწავლილი იქნება შუა საუკუნეების ერთერთი პოპულარული თხზულების „ბალავარიანის“ ანთროპონიმები, მათი მიმართება ერთი მხრივ, ქართული ტექსტის წყაროსთან - არაბულ *Kitāb Bilawhar wa-Būdāsaf* („წიგნი ბილავჰარისა და ბუდასაფისა“) და მეორე მხრივ, თხზულების ბერძნულ თარგმანთან (რომელიც მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ქართულიდან თარგმნილად მიიჩნევა).

კვლევაში გამოყენებულია კომპარატივისტული მეთოდი („ბალავარიანის“ არაბულ-ქართულ-ბერძნული ტექსტების საკუთარ სახელთა შედარებითი ანალიზი), დესკრიფციული მეთოდი, კოგნიტურ-კონცეპტუალური ანალიზის მეთოდი (ასოციაციების კვლევა), ლინგვო კულტუროლოგიური ანალიზი.

„ვარლაამისა და იოასაფის ისტორიის“ არაბულ-ქართულ-ბერძნული რედაქციების ანთროპონიმებთან დაკავშირებით შედარებით ზოგადი შეხედულებები დ. ლანგისა და კ. კეკელიძის კვლევებში იკვეთება. დ. ლანგიც (Lang, 1957, გვ. 399) და კ. კეკელიძეც აღნიშნავენ, რომ საკუთარ სახელთა ბერძნული ტექსტის მონაცემები ამჟღავნებენ დამოკიდებულებას ქართულ ტექსტზე, მათი აზრით შეინიშნება ერთი კანონზომიერება - ბერძნული ტექსტის მთარგმნელი საკუთარ სახელებს აზუსტებს ბიბლიური ონომასტიკის საფუძველზე. დ. ლანგის და კ. კეკელიძის ეს შეხედულება კიდევ უფრო რომ დავაზუსტოთ, სათავეშივე შევნიშნავთ, რომ ბერძნულ ტექსტში, მართალია, საკუთარ სახელებად ბიბლიური ანთროპონიმებია გამოყენებული (და არა მიმსგავსებული ბიბლიურ ანთროპონიმთან, როგორც ეს ქართული თარგმანის შემთხვევაშია), თუმცა იგივე

ანთროპონიმები ქართულ თარგმანში არის შექმნილი ბიბლიური ონომასტიკის ასოციაციით.

ტექსტის რამდენიმე ანთროპონიმს უფრო დეტალურად იკვლევენ ე. ხინთიბიძე და ი. აბულაძე. მათი ინტერესის საგანია მთავარი მოქმედი პერსონაჟების: ვარლაამის, იოასაფის და მეფე აბენესის სახელები და მათი ცვლილება თარგმანებში.

„ბალავარიანის“ კვლევის ისტორიაში უფრო ფართო ყურადღება მიექცა ნაწარმოების მთავარი გმირების საკუთარ სახელებს - ბალავარი, იოდასაფი და აბენესი. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ი. აბულაძისა და ე. ხინთიბიძის დაკვირვებები.

ე. ხინთიბიძის თანახმად, ქართულ და ბერძნულ რედაქციებში დადასტურებულ *იოდასაფ/იოასაფს*, არაბული იცნობს *ბუდასფის*, ან *იუდასფის* ფორმით. მისი აზრით, *ბუდასფიდან იოდასფიც* და *იუდასაფიც* არაბული „ბ“-სა და „ი“-ს აღრევის საფუძველზეა წარმოშობილი, ხოლო არაბული *ბუდასფიდან* ბერძნულ *იოასაფამდე* შუა საფეხურია ქართული *იოდასაფი*. ე. ხინთიბიძის აზრით, იმავე „ი“-სა და „ბ“-ს აღრევის საფუძველზე ქართულადაც უნდა მიგვეღო *იუდასაფი*, მაგრამ ქრისტიანული სამყარო წმინდანის სახელად *იუდა-საფს* ვერ იგუებდა, რამაც გამოიწვია მისი იოდასაფად გადმოცემა. იგივე დაშორების სურვილს *იოდა/იუდა* ფორმისაგან, ბიბლიური ონომასტიკის *იოზაფატის* ანალოგიის გზით, უნდა გადაექცია ეს სახელი ბერძნულ იოასაფად (ხინთიბიძე, 1982, გვ. 341-342). ამ შემთხვევაშიც იკვეთება ტენდენცია: ქართული რედაქციების ანთროპონიმები ბერძნულად ითარგმნება მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებით - ბიბლიურ ანთროპონიმებთან დაახლოების ტენდენციით.

ასევე, ი. აბულაძის აზრით, ქართული „ბალავარი“ უფრო არაბულ „ბალავჰარს“ (ან „ბილავჰარს“) ემხრობა, ვიდრე ბერძნულ Βαλααμ'-ს (ვარლაამს) (აბულაძე, 1962, გვ. 511). პერსონაჟის ბერძნული სახელი ამ შემთხვევაშიც ქრისტიანული ონომასტიკის (მაგ., მე-3-მე-4 საუკუნის მოწამე ვარლაამი) ანალოგიის გზით ითარგმნება.

ი. აბულაძე საგანგებოდ იკვლევს „ბალავარიანის“ კიდევ ერთ ანთროპონიმს - „ჰებენას“, აბენესე, აბენეს“, ხოლო იოდასაფის საგალობლის მიხედვით - „აბენესერ“. მკვლევრის აზრით, თუკი ერთმანეთს შევუპირისპირებთ მოცემული სახელებს, პირველად ფორმად „ჰაბენესერ“ გამოჩნდება. აქედან უნდა მომდინარეობდეს ბერძნული Αβενιηρ - აბენერი (ავენირი), ხოლო ქართული „ჰაბენესერი“ კი, არაბულზეა დამოკიდებული. ი. აბულაძეს არაბული „ჰანაი*სარიდან“ ქართული „ჰაბენესერი“, დიაკრიტიული ნიშნების გამო, ასოთა აღრევის ნიადაგზე მიღებულად მიაჩნია (აბულაძე, 1962, გვ. 511-512).

წინამდებარე სტატიის ფარგლებში შესწავლილია „ბალავარიანის“ ანთროპონიმები და მათი მიმართება არაბული და ბერძნული რედაქციების საკუთარ სახელებთან.

ზადანი პრინცი იოასაფის აღმზრდელისა და ერთგული მსახურის სახელია.

„წიგნი ბილავჰარისა და ბუდასაფისა“ (არაბული რედაქცია)	„ბალავარიანი“ (ქართული მოკლე რედაქცია)	„ბალავარიანი“ (ქართული ვრცელი რედაქცია)	„ვარლაამისა და იოასაფის ისტორია (ბერძნული რედაქცია)
--	--	---	--

-	„და მისცნა მონანი სარწმუნონი, რადთა ჰმსახურებდენ ძესა მისსა და მისცა ზანდან მზარდულად“ (აბულაძე, 1957/2006-2007, რედაქცია B)	„ხოლო მეფესა ეჩინა მსახურად მისა თვსისა და მზრდელად კაცი ვინმე ერ[თ]გული და დასტური წინაშე მისსა, რომელსა სახელი ერქუა ზადან .“ (აბულაძე, 1957/2006-2007, რედაქცია A)	Εἷς δὲ τῶν προεχόντων ἐν αὐτοῖς, ὃν ὡς πιστότατον καὶ εὐγνώμονα κατέστησεν ὁ βασιλεὺς ἐπὶ τοῦ पालατίου τοῦ υἱοῦ αὐτοῦ, Ζαρδάν καλοῦμενος (Volk, 2009, გვ. 198)
---	--	--	--

ქართული „ბალავარიანის“ მოკლე რედაქციით ამ პერსონაჟის სახელია *ზანდანი*, ვრცელით - *ზადანი*: ბერძნულ ტექსტში - *Ζαρδάν*, ხოლო არაბულში მას საერთოდ არ აქვს შესატყვისი.

რადგანაც არაბულ ტექსტში პრინცი იოდასაფის აღმზრდელის სახელი არ არის მოცემული და იგი ჩნდება მხოლოდ ქართულ თარგმანში, საფიქრებელია, რომ ტექსტის ქართულად მთარგმნელმა სახელს *ზადან/ზანდან* კონცეპტუალური დატვირთვა მიანიჭა, შექმნა რა იგი ქართული სამყაროსთვის კარგად ნაცნობი ზადენის კერპის ანალოგიით. „ბალავარიანის“ მიხედვით, *ზადანი/ზანდან* წარმართული რელიგიის მიმდევარია, ამდენად, შესაძლებელია, რომ სწორედ ამგვარი პერსონაჟისთვის შეერჩია ქართული ტექსტის ავტორს სახელი, რომელიც ფონეტიკურად წარმართულ ქართულ ღვთაებას ზადენს მიემსგავსება: *ზადენ* - *ზადან/ზანდან*. ხმოვანთმონაცვლეობა კი, რომელიც ზადენ/ზადან სახელებში გვაქვს ტიპური ფონეტიკური მოვლენაა, რადგანაც საკუთარ სახელთა სხვადასხვა ვარიაცია შესაძლებელია გვხვდებოდეს სხვადასხვა, ერთი და იმავე ეპოქის, ან მწერლის ტექსტებშიც კი. მაგალითად, საისტორიო წყაროებში, აგიოგრაფიული ძეგლების მსგავსად, ერთსა და იმავე ან სხვა საუკუნის თხზულებებში პირის სახელები წარმოდგენილია ორ ან მეტ ვარიანტად, რაც გამოწვეულია ძირითადად ბგერის დაკარგვით ან ჩართვით, ხმოვანთა და თანხმოვანთა მონაცვლეობით: ნასარ/ნასრა/ნასრე/ნასრი; ჯიბლა/ჯიბლუ; დიმიტრი/დემეტრე; სამოელი/სამუელი, თეკლა/თეკლე (კირთაძე, 2009, გვ. 70);

ზადენის კერპი იბერიის უზენაესი ღვთაებაა, რომელიც იხსენიება უძველეს წერილობით წყაროებში:

„ხოლო ამას ქუეყანასა ქართლის[ა]სა იყუნეს ორნი მთანი, ზედა ორნი კერპნი, არმაზ და *ზადენ*“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“).

„ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება, და ამან აღაშენა ციხე ზა/დენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ, და ამართა ზადენს“ (ლეონტი მროველი, „ქართლის ცხოვრება“).

"წმიდანო მამანო, ყოვლად უნუგეშინისცემო და მალნარ არს და შეუვალ კაცთაგან მთად ისი, და უწინარეს კერპიცა იგი ბილწისა ზადენისი მდგომარე ყოფილ არს იქი, რომელი-იგი შემუსრა ნეტარმან ნინო, და აწ ვითარ მესმის, სულთა მიერ ბოროტთა აღსავსე არს მთად იგი" („შიოსა და ევაგრეს ცხოვრება“).

„რამეთუ წარმართობასა ჟამთა მუნ იყო გოდოლი აღშენებული

და ზედან ზადენისა კერპი აღმართებული და საძაგელისა მსხუერპლთასიმრავლისა მიერ დამკვდრებულ იყვნენ ეშმაკთა სიმრავლე, რომელთაგან იქმნებოდნენ მრავალნი საშინელებანი და ოცნებანი“ (იოანე ზედაზნელის ცხოვრება“).

ზადენის კერპის სახელი შემორჩენილია ქართულ ტოპონიმიკაშიც: ზადენგორა: „ხოლო ვითარცა შთავლო ხევი ოძრახისა და მოვიდა საზღუართა სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-გორა“ (ლეონტი მროველი, „მეფეთა ცხოვრება“) და ზედაზენი. ეს უკანასკნელი რომ ზადენის კერპთან არის დაკავშირებული ჩანს შემდეგიდანაც: იოანე ზედაზნელი „ბრძანებითა მეფისათა და კურთხევითა კათალიკოსისათა აღვიდა მთასა ზედა ზადენსა“, ამიტომაც იგი მოხსენიებულია, როგორც იოვანე „ზედაზადენელი“ (ჯუანშერი, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“)

ზადენი, ნიკო მარის აზრით, სპარსული მითრას ქართული ვარიაცია: "ზადენი, უეჭველია, ავესტ. yazata, ფაჰლავურ მრ. რ. ფორმას yajdan ანუ yaztan, სპარს. yazdan-ს და კეთილ გენიას, მეტადრე მითრას ანუ მიჰრს და შემდეგ საზოგადოდ ღმერთსა ჰნიშნავსო“ (ჯავახიშვილი, 1979, გვ. 113).

მ. ანდრონიკაშვილის კვლევის თანახმად, ღვთაების სახელი - ზადან აქამენიდების ეპოქის კუთვნილებაა და ძველი სპარსულიდან უნდა იყოს შეთვისებული ქართულში, რასაც მისი საშ. ირანულისა და სომხური ფორმებისაგან განსხვავებული ფონეტიკური სახე გვიჩვენებს (ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 23)

ამდენად, „ზადენის“ კერპი აღმოსავლეთიდან შემოდის და მკვიდრდება ქართულ სამყაროში. აღნიშნულ ანთროპონიმს, ჩვენი ძიების ფარგლებში, „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიამდელ“ ბერძნულ წყაროებში, ვერსად მივაკვლიეთ. რაც შეეხება, ზადან/ზანდანის ბერძნულ შესატყვისს, იგი მცირე სხვაობით არის გადატანილი ბერძნულში - Ζαρδάν. მართალია, აღნიშნული ანთროპონიმი ბერძნული კულტურისთვის არ უნდა იყოს ნაცნობი, თუმცა კი, იცნობს იგი ცნობილი ბიბლიური მეფის ნაბუქოდონოსორის მცველთა რაზმის მეთაურს ნაბუზარდანს. შესაძლებელია, სწორედ ნაბუზარდანის სახელის ანალოგიით (მხოლოდ და მხოლოდ ბიბლიურ ანთროპონიმებთან დაახლოების ტენდენციიდან გამომდინარე), ცვლის მთარგმნელი ზადან/ზანდან-ს ზარდანი (,,რ“-ს ჩართვა, ან „ნ“/„რ“ მონაცვლეობა).

თედმა „ბალავარიანის“ ქართულ რედაქციებში წარმართი მღვდლის სახელია.

„წიგნი ბილავჰარისა და ბუდასაფისა“ (არაბული რედაქცია)	„ბალავარიანი“ (ქართული მოკლე რედაქცია)	„ბალავარიანი“ (ქართული ვრცელი რედაქცია)	„ვარლაამისა და იოასაფის ისტორია (ბერძნული რედაქცია)
Al-Bahwan	„მაშინ წარვიდეს თედმამსა*, რამეთუ იყო იგი* კერპთ მსახური და იყოფოდა*“	„მაშინ აღდგეს და მივიდეს კაცისა ვისამე, რომელი იყოფოდა უდაბნოთა და მთათა შინა,	Ἀναστάντες δὲ καταλαμψάνουσιν ἄνθρωπον ἐν βασιτείᾳ διακείμενον τῇ ἐρήμῳ, ἔνθα κατὰκει ἄνθρωπος

	უდაბნოსა*, და ფრიადი სასოებაჲ აქუნდა მეფესა და ყოველსა ერსა*, რამეთუ ჰგონებდეს, ვითარმედ წჳმად და მზე მისითა ლოცვითა* მოეცემის ქუეყანასა მათსა“ (აბულაძე, 1957/2006-2007, რედაქცია B)	დაკლებული და კიდე-ქმნული ორთაგანვე ცხორებათა, რომლისა სახელი <i>თედმა</i>. ხოლო კაცი იგი იყო შჯულისა მათისაჲ და ფრიადი სასოებაჲ აქუნდა მეფესა მისა მიმართ და ყოველსა ერსა მისსა, ვიდრე-მდის ჰგონებდესცა, ვითარმედ წჳმად და [მ]ზეცა მისითა ლოცვითა მოეცემის ქუეყანასა მათსა“ (აბულაძე, 1957/2006-2007, რედაქცია A)	Ἑλλην μαγικαῖς σχοιλάζων τέχναϊς καὶ θερμότητος ὑπάρχων προασιπτοῦς τῆς εἰδωλικῆς πλάνης. Ὅνομα δὲ τοῦτῳ Θεοδᾶς, ὃν καὶ ὁ βασιλεὺς ἐτίμα διαφερόντως καὶ φίλον ἡγεῖτο καὶ διδάσκαλον, διὰ τῆς αὐτοῦ λέγων μαντεῖας εὐθηνουμένην προκόπτειν τὴν αὐτοῦ βασιλείαν“ (Volk, 2009, გვ. 294)
--	---	---	---

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, ქართული ორივე რედაქცია ამ პერსონაჟს „თედმა“-თი იცნობს, ბერძნული რედაქციის მიხედვით მისი სახელია - *Θεοδᾶς*, ხოლო არაბულში - *Al-Bahwan*-ი. საფიქრებელია, რომ ტექსტის ქართულ და ბერძნულ რედაქციებში ეს სახელიც, მსგავსად ზადან/ზანდანისა კონცეპტუალურ დატვირთვას იძენს. ტექსტის ქართულად მთარგმნელი პერსონაჟის არაბულ, ფონეტიკურად სრულიად განსხვავებულ ანთროპონიმს ცვლის და ბიბლიური ასოციაციით „საქმე მოციქულთაში“ დამოწმებულ საკუთარ სახელს - თევდას მიამსგავსებს. „თევდა“ „საქმე მოციქულთას“ ბერძნული ტექსტის - *Θεοδᾶς*-ის ქართული შესატყვისია: *Πρὸς γὰρ τοῦτων τῶν ἡμερῶν ἀνέστω Θεοδᾶς...* (Acts 5:36) „რამეთუ უწინარეს დღეთა ამათ აღდგა თევდა და იტყოდა...“ (5:36). ვფიქრობ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბიბლიური თევდა და „ბალავარიანის“ თედმა ფუნქციურადაც მიემსგავსებიან ერთმანეთს. „საქმე მოციქულთას“ მიხედვით თევდა (ბერძ. *Θεοδᾶς*) თვითმარქვია წინასწარმეტყველია, რომელიც მოტყუებით აამბოხებს და აიყოლებს მრავალრიცხოვან ბრბოს, დაარწმუნებს რა მათ, რომ შეუძლია მდინარის სიტყვით გაპოზა და მათთვის მარტივი სავალი გზის ჩვენება. შესაძლებელია, რომ ქართული „ბალავარიანის“ მთარგმნელმა სწორედ ამ ბიბლიური ანთროპონიმის (თევდა) ასოციაციით არაბული სახელი *Al-Bahwan* შეცვალა „თედმათი“, ხოლო „ბალავარიანის“ ბერძნულად მთარგმნელმა, თედმა/თევდას ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე თარგმნა იგი *Θεοδᾶς*-ად. ბუნებრივია, რომ მისთვის ნაცნობი იქნებოდა „საქმე მოციქულთას“ ბერძნული სახელის *Θεοδᾶς*-ის ქართული შესატყვისი - თევდა. ამრიგად, *ქართული რედაქციების ანთროპონიმის*,

რომელიც არაბულისგან რადიკალურად განსხვავებულია, საფფიქრებელია, რომ მთარგმნელი ბიბლიური ასოციაციით ქმნის, ხოლო ბერძნულ რედაქციაში კი, იგი ითარგმნება მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებით - ზუსტი ბიბლიური ანთროპონიმით. ვფიქრობ, *Al-Bahwan* - თედმა - (თეფდა) *Θεοδῶς*-ის გრადაცია აჩვენებს ანთროპონიმთა თანდათანობით გაქრისტიანების პროცესს და შუალედურ ტექსტად, ამკარად, აქაც ქართული „ბალავარიანი“ ჩანს ისევე, როგორც ზადან/ზანდან- *Ζαδαν*-ის შემთხვევაში.

ნაქორი - არაბულ რედაქციაში არ არის.

„წიგნი ბილავჰარისა და ბუდასაფისა“ (არაბული რედაქცია)	„ბალავარიანი“ (ქართული მოკლე რედაქცია)	„ბალავარიანი“ (ქართული ვრცელი რედაქცია)	„ვარლამისა და იოასაფის ისტორია (ბერძნული რედაქცია)
-----	ვიცი კაცი, რომლისა თანა სწავლულ ვარ და არავინ იცნობს მას ქუეყანასა ამას, და არს იგი სჯულისა ჩუენისაჲ და ფრიად სწავლული სიბრძნისაჲ, და სახელი მისი ნაქორ“ (აბულამე, 1957/2006-2007, რედაქცია B)	ხოლო უკუეთუ ამას ვერ მივსწუთეთ, მე მოგგუარო, მეფე, კაცი ერთი, რომელი არავინ იცის ქუეყანასა ამას, წესისა ჩუენისაჲ, რომლისა გამორჩევაჲ ვერ ეგების ბალაჰ- ვარისგან ხატითა და ფერითა და ჰასაკითა და კმითა და სიტყვთა, რომელი იქცევის გარე უდაბ- ნოს, რომლისა სახელი ნაქორ“ (აბულამე, 1957/2006-2007, რედაქცია A)	Εἰ δὲ ἐκεῖνον μὲν καταλαβεῖν οὐ δυνήθημεν, ἕτερον ἐγὼ ἐπίσταμαι πρεσβύτερον μονερχίτην, Ναχῶρ καλοῦμενον, ὅμοιον τῷ Βαρλαάμ κατὰ πάντα, ὃν οὐκ ἔστι διαγῶναι μὴ ἐκεῖνον ὑπάρχειν" ὃς καὶ τῆς ἡμετέρας ἐστὶ θρησκείας καὶ διδασκαλός ἐμὸς ἐν τοῖς μαθημασι γέγονε (Volk, 2009, გვ. 215)

რაქისი (მეფის ერთგული ვეზირი) სთავაზობს ჯანაიზარს, რომ თავად მოირგებს ბალავარის როლს და შეეცდება, რომ იოადასაფი წარმართულ რჯულზე მოაბრუნოს.

იოდასაფის მხილების შემდეგ, რაქისი შეინანებს. ქართულ თარგმანში პერსონაჟის (რაქისის) ფუნქცია გაყოფილია. ქართული და ბერძნული რედაქციების იმავე ეპიზოდებში რაქისის ნაცვლად ბალავარის როლის მორგებას ახალ პერსონაჟს - ნაქორს დაავალდებენ: „და ჰრქუა რაქი[ს]: რაჲ ღონე ვყოთ აწ? ხოლო მან ჰრქუა: ვიცი კაცი, რომლისა თანა სწავლულ ვარ და არავინ იცნობს მას ქუეყანასა ამას, და არს იგი სჯულისა ჩუენისაჲ და ფრიად სწავლული სიბრძნისაჲ, და სახელი მისი ნაქორ. იგი მოვიყვანოთ, რამეთუ ფრიად მსგავსი არს ბალავარისი ფერითა და ჰასაკითა, და შევჰმოსოთ სამოსელი, ვითარი უნახავს ზანდანს ბალავარს ზედა“ (აბულაძე, 1957/2006-2007, რედაქცია B). იოდასაფი მიუხვდება მას ტყუილს და ამხელს. ფინალი აქაც იგივეა - მხილების შემდეგ ნაქორი მოექცევა ქრისტიანულ რჯულზე. საკუთარი სახელი *ნაქორი (მისი ბერძ. შესატყვისი - Νάχορ)* ბიბლიური ონომასტიკის ანალოგიით ჩნდება ქართულ რედაქციაში. ამგვარ კანონზომიერებას - სრულიად ახალი ანთროპონიმის შემოტანას ტექსტში, განსაკუთრებით მაშინ აქვს ადგილი, როცა არ არსებობს არაბულ რედაქციაში რომელიმე პერსონაჟი (ან პერსონაჟი სახელის გარეშე) და ჩნდება იგი ქართულში.

ბარაქია (ბერძ. Βαραχία) ქართული და ბერძნული რედაქციების ფინალურ ნაწილში ჩნდება. ცნობილია, რომ ყველაზე მეტად ქართული და ბერძნული რედაქციები არაბულისგან სწორედ ფინალით განსხვავდებიან. იოდასაფი სამეფოს სამართავად უტოვებს კეთილმორწმუნე ქრისტიანს ბარაქიას/**Βαραχία**. აქაც ქართული რედაქციის ავტორი მიჰყვება მისთვის დამახასიათებელ ძირითად ტენდენციას - ანთროპონიმი - *ბარაქია* (შესაბამისი ბერძ. - **Βαραχία**) ტექსტში შემოაქვს ბიბლიური ონომასტიკის გათვალისწინებით.

ფაქტობრივად, თხზულებაში ერთადერთი ანთროპონიმია - „რაქისი“, რომელიც არაბული ტექსტიდან უცვლელი სახით შემოდის ქართულ რედაქციებში, ხოლო ბერძნულში გადადის იგი, როგორც - Ἰαράχης.

ამრიგად, „ბალავარიანის“ ანთროპონიმზე დაკვირვება სამივე: არაბულ, ქართულ, ბერძნულ რედაქციათა გათვალისწინებით, გვაჩვენებს ანთროპონიმთა გაქრისტიანების აშკარა ტენდენციას. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით ორგვარი კანონზომიერება იკვეთება:

1. არაბული რედაქციის ანთროპონიმების ქართულ შესატყვისად გამოყენებულია პირდაპირ ბიბლიური ანთროპონიმები, ან მასთან ფონეტიკურად ახლოს მდგომი სახელი, რომელიც, შესაძლოა, ბიბლიური ანთროპონიმების ასოციაციით შექმნილიყო. ასეა ეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა არ არსებობს არაბულ რედაქციაში რომელიმე პერსონაჟი და ჩნდება იგი ქართულში და ბერძნულში.

2. რიგ შემთხვევებში, ქართული რედაქციების ანთროპონიმები, რომლებიც ფონეტიკურად მსგავსია ბიბლიური ანთროპონიმებისა, მაგრამ არა იდენტური, ბერძნულ თარგმანში გადადის ბიბლიური ანთროპონიმებით. ასეთ შემთხვევებშიც, ქართული „ბალავარიანი“ შუალედურ რედაქციად ჩანს, არაბულ და ბერძნულ რედაქციათა შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე, ი. (1962). ქართული ბალავარიანის ერთი პერსონაჟის სახელის წარმომავლობისთვის. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, 18(4).

აბულაძე, ი. (რედ.). (2006-2007). *ბალავარიანი (რედაქცია B)* [ციფრული ვერსია]. ARMAZI Textcollection. (ორიგინალი გამოქვეყნდა 1957, ძველი ქართული ენის ძეგლები, 10, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ლაბორატორია "ორიონი"; ARMAZI ვერსია მომზადებულია J. Gippert-ის მიერ.

<https://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/hagio/balavarb/balavlex.htm>

აბულაძე, ი. (რედ.). (2006-2007). *ბალავარიანი (რედაქცია A)* [ციფრული მონაცემთა ბაზა]. ARMAZI Textcollection. <https://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/hagio/balavara/balavlex.htm> (ორიგინალი გამოქვეყნდა 1957)

<https://titus.unifrankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/hagio/balavara/balav.htm?balav060.htm>

ანდრონიკაშვილი, მ. (1966). *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან*. თბილისი.

კირთაძე, დ. (2009). საკუთარი სახელი ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში (V-X სს.) [გამოუქვეყნებელი სადოქტორო დისერტაცია]

ჯავახიშვილი, ი. (1979). *თხზულებანი* (ტ. 1). თბილისი.

ხინთიბიძე, ე. (1982). *ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის*. თბილისი.

Lang, D. (1957). The life of the blessed Iodasaph: A new oriental Christian version of the Barlaam and Ioasaph romance (Jerusalem, Greek Patriarchal Library: Georgian MS 140). *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, University of London, 20(1/3).

Volk, R. (2009). *Die Schriften des Johannes von Damaskos, VI/1: Historia animae utilis de Barlaam et Ioasaph (spuria)*, Vol. 1: Einführung (Patristische Texte und Studien, 61). De Gruyter.